ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
მუნიციპალური ინსპექცია

№ 7-1/ე-449-26
"28" 10. 2026 წ

დადგენილება №004437
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

28.10.2026წ. **ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7**

მე, მუნიციპალური ინსპექციის უფროსმა, გოგი ჩიქოვანმა განვიხილე, 2026 წლის 28 ოქტომბერს №004437 შემოწმების აქტი შედგენილი **შპს „ქისთოუნ დეველოპმენტი"-ს** (ს/ნ 402181642; მის.: ქ.თბილისი დიდუბის რაიონი, სანაპირო კოსმონავტების, №49, ბინა №173) მიმართ, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.დ." ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე და **გამოვარკვიე:**

ქ. თბილისში, ქუჩა ვახტანგ გორგასალი, №73ა; №01.18.06.019.139 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ, მიწის ნაკვეთზე შპს „ქისთოუნ დეველოპმენტი"-ს მიერ განხორციელდა IV კლასის შენობა-ნაგებობის (ოფისი) მშენებლობა, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 21.08.2026წ. №8052673 ბრძანებით შეთანხმებული სანებართვო პირობების დარღვევით. დარღვეულია მე-4 ეტაპით „ხიმინჯების მოწყობა"– გათვალისწინებული სამუშაოები, კერძოდ ქვაბულის სამაგრი ხიმინჯების რაოდენობაა შემცირებული.(ხიმინჯები მოწყობილია ბოლო შუალედური პროექტის მიხედვით AR11163897).

2026 წლის 28 ოქტომბერს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 123-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა №004437 შემოწმების აქტი. საქმეშია, მხარის მიერ წარმოდგენილი 15.10.2026წ. №01262881819-17 განცხადება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, შპს „ქისთოუნ დეველოპმენტი"-ს მიერ ჩადენილია საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.დ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ: ქ. თბილისში, ქუჩა ვახტანგ გორგასალი, №73ა; №01.18.06.019.139 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ, მიწის ნაკვეთზე შპს „ქისთოუნ დეველოპმენტი"-ს მიერ განხორციელდა IV კლასის შენობა-ნაგებობის (ოფისი) მშენებლობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 21.08.2026წ. №8052673 ბრძანებით შეთანხმებული სანებართვო პირობების დარღვევით. დარღვეულია მე-4

ქ. თბილისი 0160. ჟ. შარტავას ქუჩა №7. ტელ: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

ეტაპით „ხიმინჯების მოწყობა“– გათვალისწინებული სამუშაოები, კერძოდ ქვაბულის სამაგრი ხიმინჯების რაოდენობაა შემცირებული.(ხიმინჯები მოწყობილია ბოლო შუალედური პროექტის მიხედვით AR11163897).

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ”, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი”-ს 122-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 123-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 125-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა” ქვეპუნქტის „ა.დ.” ქვეპუნქტით,

დავადგინე:

1. **შპს „ქისთოუნ დეველოპმენტი”** დაჯარიმდეს 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარით, ქ. თბილისში, ქუჩა ვახტანგ გორგასალი, №73ა; №01.18.06.019.139 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ, მიწის ნაკვეთზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 21.08.2026წ. №8052673 ბრძანებით შეთანხმებული სანებართვო პირობების (დარღვეულია შეთანხმებული სანებართო პირობის მე-4 ეტაპით „ხიმინჯების მოწყობა“) დარღვევით IV კლასის ობიექტის (ოფისი) მშენებლობისთვის.

2. **შპს „ქისთოუნ დეველოპმენტ”-ს** დაევალოს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი”-ს 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში:

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება**: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი**: სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება:** დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, **შპს „ქისთოუნ დეველოპმენტ”-ს** დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა.

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი”-ს 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, სამშენებლო სამართალდამრღვევს დაერიცხება საურავი სამშენებლო სამართალდამრღვევის დაჯარიმების შესახებ დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი”-ს 126-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, მისი დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, სამშენებლო სამართალდამრღვევი ჯარიმდება თავდაპირველად დაკისრებული ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც მას შეიძლება დაეკისროს არა უმეტეს სამჯერ;

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან 15 კალენდარული დღის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7).

მუნიციპალური ინსპექციის უფროსი **გოგი ჩიქოვანი**

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
მუნიციპალური ინსპექცია

თბილისი, 0160, შარტავას ქ. 7 ტელ: 2378501, 2378396

შემოწმების აქტი № 004437

(სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ)

შედგენის თარიღი: 28.10.2026

საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი'' 123-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სამშენებლო სამართალდარღვევასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება შემოწმების აქტის შედგენით იწყება:

ა) 136-ე მუხლით გათვალისწინებული დარღვევის არსებობისას;

ბ) დარღვევისათვის საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების მიღებისას;

გ) დამრღვევის საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობის თანხით დაჯარიმებისას;

დ) საეტაპო ოქმის დადგენილი წესით წარუდგენლობისას;

ე) უფლებამოსილი ორგანოსთვის იმ ობიექტის ექსპლუატაციაში მისაღებად განცხადების დადგენილ ვადაში წარუდგენლობისას, რომლის მშენებლობაც დამთავრებულია;

ვ) თუ დამრღვევი განცხადების საფუძველზე აღიარებს სამშენებლო ობიექტზე არსებულ დარღვევებს და ითხოვს კანონით დადგენილი ზომების მიღებას;

ზ)138-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დარღვევის არსებობისას, თუ ის ხორციელდება „ტყის ფონდის მართვის შესახებ“ და „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრულ ტერიტორიაზე, განსაკუთრებული რეგულირების ტერიტორიაზე ან ზონაში, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში ან/და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში.

დამრღვევის დასახელება და მისამართი: შპს „ქალაქ ტრანს სერვის“ ს/კ 406021816142
ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, ალ. ყაზბეგის ქ. N49 ბ N173

ობიექტის დასახელება და მისამართი: ოფის, ს/კ 01.18.06.012139, ქ. თბილისი
ისანი-სამგორის რაიონი, N73

შემოწმებით დადგინდა: დარღვევის ჩადენის დროს შპს „ქალაქ ტრანს სერვის“ ს/კ 406021816142 21.08.2026 N80526772 ხელშეკრულების საფუძველზე ობიექტზე ასრულებდა სამშენებლო სამუშაოებს.

შემოწმების აქტის შემდგენი (თანამდებობა, სახელი, გვარი, ხელმოწერა):

შემოწმების აქტი ჩაიბარა (სახელი, გვარი, მიღების თარიღი, ხელმოწერა):

სამშენებლო სამართალდამრღვევისათვის მითითების, შემოწმების აქტის, უწყების ან დადგენილების გაცნობა უნდა მოხდეს ოფიციალურად, სამშენებლო ობიექტზე. თუ დამრღვევი არ იმყოფება სამშენებლო ობიექტზე ან უარს აცხადებს შესაბამისი აქტის/აქტების გაცნობაზე, გაცნობად ჩაითვლება აქტის/აქტების სამშენებლო ობიექტის თვალსაჩინო ადგილზე განთავსება (საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი'' 128-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).
შემოწმების აქტი გაეცნო (ჩაბარდა) დამრღვევს, თვალსაჩინო ადგილზე განთავსების გზით. (ზუსტად მიეთითოს თვალსაჩინო ადგილი).

განთავსების თარიღი

საქართველოს ბანკი
ბიზნესი

გადახდის ქვითარი

ტრანზაქციის ტიპი	საბარათე ტრანზაქცია
თანხა	-15000.0 GEL
ობიექტი	
ბარათის ბოლო 4 ციფრი	**
ანგარიში	GE11BG0000000534017040GEL
გადახდის თარიღი	28.10.2026
ჩამოჭრის თარიღი	28.10.2026
საბუთის ნომერი	4456
დანიშნულება	გადარიცხვა - თანხა: GEL15,000.00; მიმღები: ქ. თბილისი - შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო; ანგარიში: 300773263; ბანკი: სახელმწიფო ხაზინა TRESGE22; დანიშნულება: დადგენილება N 004437 სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე 28.10.2026

შ.ს. საქართველოს ბანკი
J.S.C "BANK OF GEORGIA"
დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან
PRINTED FROM INTERNET BANK

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

69411185520626

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N260414669

რეგისტრაციის თარიღი

01.04.2026 წ

ნოტარიუსი: ირმა შარვაძე
მისამართი: თბილისი, ჟ. შარტავას 42
ტელეფონი: 591709917

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge
ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

სანოტარო აქტი

მე, ნოტარიუსი, ირმა შარვაძეს, სანოტარო ბიურო, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას #42-ში, მიმიწვიეს სანოტარო მოქმედების შესასრულებლად გაგარინის 29ა-ში, სადაც მომმართა **ზურაბ ქოქოსაძემ,** რომელმაც განაცხადა, რომ არის სს საქართველოს ბანკის (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204378869) გენერალური დირექტორის მოადგილე, რაც დასტურდება სს საქართველოს ბანკის ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (რომელიც ინახება ჩემს არქივში) და რწმუნებულებით, გაცემული სს საქართველოს ბანკის გენერალური დირექტორის არჩილ გაჩეჩილაძის მიერ მიერ 22.01.2024 წ. დამოწმებული ნოტარიუს ირმა შარვაძის მიერ, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი: N240070424 (რომელიც ინახება ჩემს არქივში). **ზურაბ ქოქოსაძემ** მოითხოვა რწმუნებულების შედგენა **ირაკლი ძაგანიას** სახელზე და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე **ზურაბ ქოქოსაძეს** პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პასპორტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **ზურაბ ქოქოსაძემ** (დაბადებული 25.11.1982 წ. ქ. სოხუმი, პირადი ნომერი: 62001032255, მცხოვრები თბილისი სამგორი III მასივი IX კვ. კორ. 2 ბ. 1) მომმართა, დავადგინე მისი ქმედუნარიანობა, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილება და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. აგრეთვე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, შემდეგ შევადგინე წინამდებარე რწმუნებულება, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მარწმუნებელს. მარწმუნებელმა წაიკითხა რწმუნებულება და განაცხადა, რომ რწმუნებულება ზუსტად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგ **ზურაბ ქოქოსაძემ** ხელი მოაწერა შემდეგ რწმუნებულებას:

რწმუნებულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება ნოტარიუს ირმა შარვაძის სანოტარო არქივში, ხოლო ერთი გადაეცა მარწმუნებელს.

გადახდილია საზღაური 30.00 ლარი, + სანოტარო ბიუროს გარეთ შესრულებული მოქმედებისთვის 35,00 ლარი დღგ 11,70 ლარი, რეგისტრაციის საფასური 5.00 ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილებისა (“სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურებისვადების დამტკიცების შესახებ”) 31-ე, 34-ე და 39-ე მუხლისა და საგადასახადო კოდექსის 166 მუხლისა.

რწმუნებულება

მე, სს „საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორის მოადგილე **ზურაბ ქოქოსაძე** (შემდგომში - მარწმუნებელი), ირაკლი ძაგანიას (პირადი ნომერი: 62001042038; შემდგომში - რწმუნებული), ვანიჭებ უფლებამოსილებას, რათა მან მარწმუნებლის (სს საქართველოს ბანკის) სახელით:

1. დადოს და გააფორმოს (მათ შორის, კანონმდებლობით გათვალისწინებული ფორმით (მათ შორის ელექტრონული ხელმოწერით) ხელი მოაწეროს):

1.1. გენერალური საკრედიტო ხაზის, საკრედიტო ხაზის, საბანკო კრედიტის, ოვერდრაფტის, დეპოზიტის და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის დოკუმენტ(ებ)ი/ ხელშეკრულება(ები)/შეთანხმება(ები) 1,000,000 (ერთი მილიონი) აშშ დოლარის (შესაბამისი კურსით სხვა ვალუტაში) ფარგლებში;

1.2. ინფორმაციის კონფიდენციალურობის ან/და საბანკო პროდუქტ(ებ)თან დაკავშირებული სხვა სახის დოკუმენტ(ებ)ი/ხელშეკრულება(ები)/ შეთანხმება(ები)/გარიგება(ები);

1.3. იპოთეკის, გირავნობის, თავდებობის ხელშეკრულებები ან/და ნებისმიერი სხვა სახის უზრუნველყოფის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული სხვა სახის დოკუმენტ(ებ)ი/ხელშეკრულება(ები)/ შეთანხმება(ები)/გარიგება(ები);

2. წინამდებარე რწმუნებულების 1.1, 1.2 და 1.3 ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ დოკუმენტ(ებ)ში/ხელშეკრულება(ებ)ში/შეთანხმება(ებ)ში/გარიგება(ებ)ში შესატანი ნებისმიერი სახის ცვლილებ(ებ)ის/დამატებ(ებ)ის (გარდა 1.1 ქვეპუნქტში მოცემულ დოკუმენტ(ებ)ში/ხელშეკრულება(ები)ში/ შეთანხმება(ები)ში/გარიგება(ები)ში თანხის ცვლილებისა, თუ აღნიშნული ცვლილებით გათვალისწინებული ნებისმიერი გარიგების თანხა გადააჭარბებს წინამდებარე რწმუნებულების 1.1. ქვეპუნქტით განსაზღვრულ თანხობრივ ლიმიტს) შესახებ შეთანხმ(ებ)ი ან/და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის განცხადება(ები)/წერილ(ებ)ი, გარდა მარწმუნებლის სასარგებლოდ რეგისტრირებული უფლების გაუქმების ან გაუქმების დაპირების წერილებისა.

3. წინამდებარე რწმუნებულების 1-ლი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში:

3.1. წარმოადგინოს მარწმუნებელი ნებისმიერ მესამე პირთან, საჯარო ან/და კერძო ორგანიზაციებში/დაწესებულებებში, აგრეთვე სანოტარო ბიუროში;

3.2. ხელი მოაწეროს ნებისმიერ საჯარო ან/და კერძო პირისთვის წარსადგენ ნებისმიერი სახის დოკუმენტაციას/კორესპონდენციას/განცხადებ(ებ)ს/წერილ(ებ)ს, გარდა მარწმუნებლის სასარგებლოდ რეგისტრირებული უფლების გაუქმების ან გაუქმების დაპირების წერილებსა;

3.3. სარეგისტრაციო ორგანოებში/დაწესებულებებში სარეგისტრაციოდ წარადგინოს ნებისმიერი სახის ხელშეკრულება(ები)/შეთანხმება(ები)/გარიგება(ები)/განცხადება(ები)/ წერილ(ებ)ი/დოკუმენტაცია.

რწმუნებულება გაცემულია 2027 წლის 1-ლ აპრილამდე.

მარწმუნებელი

ზურაბ ქოქოსაძე _____

ნოტარიუსი_____



აკინძულია

ფურცლად

საქართველოს ბანკი
ბიზნესი

№ 0C2610772

18. 08. 2026

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახურს

სს საქართველოს ბანკი (ს/კ 204378869) (შემდგომში - **ბანკი**) წარმოდგენილი მომართვის პასუხად გაცნობებთ, რომ **ბანკი**, როგორც იპოთეკარი, თანახმაა მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით №01.18.06.019.139 (შემდგომში - **იპოთეკის საგანი**) (მესაკუთრე: შპს ქისთოუნ დეველოპმენტი (ს/ნ 402181642), მისამართი: ქალაქი თბილისი, ქუჩა ვახტანგ გორგასალი, N 73ა)); სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში წარდგენილი #AR11139183 განაცხადის შესაბამისად მოხდეს პროექტის შეთანხმება და გაიცეს მშენებლობის ნებართვა (შემდგომში - **ნებართვა**). ამასთან, გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ზემოაღნიშნულ **იპოთეკის საგანზე ბანკის** სასარგებლოდ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ნებისმიერი/ყველა უფლება(ები) (მათ შორის, როგორც არსებული ისე სამომავლო) სრულად შენარჩუნდება/დარეგისტრირდება. ამასთან, ასეთი უფლებები სრულად შენარჩუნდება/დარეგისტრირდება მათ შორის იმ უძრავ ნივთებზეც, რომელიც **იპოთეკის საგანზე ნებართვის** საფუძველზე განხორციელებული/განსახორციელებელი ცვლილების შედეგად წარმოიშობა/დარეგისტრირდება.

პატივისცემით,

ირაკლი ძაგანია

კორპორაციული კლიენტების მომსახურების
დეპარტამენტის სექტორის უფროსი

საკუთრების მიმნდობი
შპს „ქისთოუნ დეველოპმენტი“
საიდენტიფიკაციო კოდი: 402181642
დირექტორი ლევან ტაბუციძე

მინდობილი მესაკუთრე
გიორგი ხმალაძე
პირადი ნომერი: 35001018932

მინდობილობა

წინამდებარე მინდობილობით, **შპს „ქისთოუნ დეველოპმენტი“** (საქართველოს კანონმდებლობის თანახმად დაფუძნებული და მოქმედი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საიდენტიტფიკაციო კოდი: 402181642, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, დიდუბის რაიონი, კოსმონავტების სანაპირო N49, ბინა N173) (შემდგომში - **„საკუთრების მიმნდობი“**) წარმოდგენილი დირექტორის ლევან ტაბუციძის (პირადი ნომერი: 01008010036) მიერ, ფიზიკურ პირ **გიორგი ხმალაძეს** (პირადი ნომერი: 35001018932, დაბადების თარიღი: 15.04.1982 რეგისტრაციის მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, კოტე მაყაშვილის ჩიხი N1/10) (შემდგომში - **„მინდობილი მესაკუთრე“**), ანიჭებს შემდეგ უფლებამოსილებებს:

1. წარმოადგინოს საკუთრების მიმნდობი სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში (შემდგომში -**„არქიტექტურის სამსახური“**), კომპანიის საკუთრებაში არსებულ შემდეგ უძრავ ქონებაზე - მისამართი: *ქ. თბილისი, ვახტანგ გორგასალის ქუჩა N73ა (საკადასტრო კოდი: 01.18.06.019.139)* (შემდგომში - **„უძრავი ქონება“**), პროექტის შეთანხმებასა და მშენებლობის ნებართვის მიღებასთან დაკავშირებით;
2. უძრავ ქონებაზე პროექტის შეთანხმებასა და მშენებლობის ნებართვის მიღების მიზნით, მინდობილი მესაკუთრე უფლებამოსილია არქიტექტურის სამსახურში შეიტანოს განცხადებები, წარადგინოს და მიიღოს ნებისმიერი და ყველა ტიპის ცნობა, დოკუმენტი, ინფორმაცია და ამონაწერი, ხელი მოაწეროს ყველა საჭირო დოკუმენტსა და ხელშეკრულებას საკუთრების მიმნდობის სახელით და შეასრულოს ნებისმიერი სხვა მოქმედება, რომელიც წინამდებარე მინდობილობებით პირდაპირ არ არის გათვალისწინებული, თუმცა აუცილებელია საკუთრების მიმნდობის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისათვის და წინამდებარე მინდობილობით მინიჭებული დავალების შესასრულებლად.

მინდობილობა გაცემულია 6 (ექვსი) თვის ვადით, გადანდობის უფლების გარეშე.

<u>საკუთრების მიმნდობი</u>

შპს „ქისთოუნ დეველოპმენტი“

დირექტორი ლევან ტაბუციძე /_____/

19/08/2026

შპს ქისთოუნ დეველოპმენტი 402181642 KEYSTONE DEVELOPMENT LLC